ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3456003

ნომერი: AR1528902

თარიღი : 31.07.2017

გაცემის თარიღი : 07.08.2017

გაცნობის თარიღი : 07.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანი N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ჟვანია პ/ნ 01005025869
- თბილისი დიღმის მას. III კვ. კორ. 16 ბ. 52

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

მოთხოვნის შინაარსის ტექსტში განმარტეთ ინფორმაცია სარეკლამო ბანერის კონსტრუქციის განთავსება გსურთ მხოლოდ , თუ მისი განთავსება დაგეგმილი გაქვთ კოკა-კოლა-ს სარეკლამო აბრასთან ერთად, ასეთ შემთხვევაში სარეკლამო აბრაზე წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტირებულ) ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში კი ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.

-

გაითვალისწინეთ სარეკლამო აბრის ვუზუალიზაცია- ყველა შემთხვევაში შესათანხმებელი გექნებათ სამსახურთან დამატებით;

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : ამ ველში დამატებით ატვირთეთ იმ სურათის ფოტო რომელზეც გაქვთ შესრულებული ფოტომონტაჟი;

საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი საერთო საკუთრების ფასადზე განმცხადებლის მიერ სარეკლამო ბანერის მოწყობასთან დაკავშირებით. "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საჭიროა წარმოადგინოთ სათანადო წესით დამოწმებული კრების ოქმი (დამსწრეთა რაოდენობის მითითებით), რომელსაც დაესწრო ბინათმესაკუთრეთა 100% და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ყველა დამსწრე წევრის მიერ 100%.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს მოთხოვნაზე/განსახორციელებელი სამუშაოების მიზანშეწონილობაზე და სამსახურის გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.